

ტუბერკულოზის პრევენცია მაღალი რისკის ჯგუფებში და პაციენტის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა

წინასიტყვაობა

ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარება ასოცირებულია აივ ინფიცირების და ტუბერკულოზის განვითარების გაზრდილ რისკთან. აივ ინფიცირებულთა ახალი შემთხვევების დაახლოებით 10% ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია (ნიმ). წარსულში და ამჯერად ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა დაახლოებით 2.5 მილიონი აივ ინფიცირებულია. ტუბერკულოზი აივ ინფიცირებულთა დაავადების და გარდაცვალების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია. ნარკოტიკების მომხმარებელ აივ ინფიცირებულ პირებში როგორც ტუბერკულოზით, ისე ნებისმიერი სხვა მიზეზით გარდაცვალების მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე აივ ინფიცირებულებში, რომლებიც ნარკოტიკებს არ მოიხმარენ.

შესაბამისად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია რეკომენდაციას იძლევა ნაციონალურ დონეზე დაიგეგმოს და ამოქმედდეს ყველა ის მექანიზმი, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლებში ტუბერკულოზის და აივ ინფიცირების ეფექტურ მართვას უზრუნველყოფს. პირველ რიგში სწორად და ზუსტად უნდა განისაზღვროს ყველა იმ პირის მოვალეობები და ფუნქციები, რომლებიც ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს აწვდიან სერვისს. ნიმ-ებთან უშუალოდ მომუშავე გუნდის წევრებს პერიოდული სწავლების გზით უნდა ჩამოუყალიბდეთ სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა მათ TB და HIV პრევენციის, კონსულტირების, დიაგნოსტიკის და მკურნალობის სერვისებით დროულად უზრუნველყონ ბენეფიციარები.¹

ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლის TB/HIV კო-ინფიცირება ერთ პიროვნებაში სამ რთულ პრობლემას უყრის თავს და გავლენას ახდენს ნიმ-ის ცხოვრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სულიერ სფეროებზე. ასეთ შემთხვევებში პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მხოლოდ კლინიკური მართვა საკმარისი არ არის, საჭიროა მისი ფსიქოლოგიური კონსულტირება და სოციალური მხარდაჭერა. ნიმ-ების საჭიროებების განსაზღვრა, ზიანის შემცირების საერთო პაკეტის ფარგლებში მათთვის TB და HIV სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათთან მომუშავე გუნდის, განსაკუთრებით კი კონსულტანტების და სოციალური მუშაკების ტრენინგება ნაციონალურ დონეზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რაც საბოლოოდ მოწყვლად ჯგუფში და მათ ოჯახის წევრებში TB/HIV

პრევენციის, დროული გამოვლენის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.²

USAID საქართველოს ტუბერკულოზის პრევენციის პროექტმა გაითვალისწინა რა ნიმ-ებში ტუბერკულოზის პრევენციის, დროული გამოვლენის და მკურნალობისადმი დამყოლობის გაუმჯობესების მნიშვნელობა და ამ პროცესში სპეციფიური მიდგომის აუცილებლობა, აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელთან (GHRN), რომელიც ახორციელებს გლობალური ფონდის აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის პროექტს „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების გზით“. GHRN-ის თანამშრომლები (12 VCT კონსულტანტი, 10 რეგიონალური კოორდინატორი, 38 სოციალური მუშაკი და 9 ლაბორანტი) უშუალო, რუტინულ კონტაქტში არიან ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებთან და თვეში დაახლოებით 3500 – 4500 ბენეფიციარს ემსახურებიან. ქსელის თანამშრომლების მოვალეობა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში აივ ინფიცირების, ჰეპატიტების და სქესობრივი გზით გადამცემი დაავადებების პრევენციაა, რასაც წარმატებით ართმევენ თავს. ტუბერკულოზთან დაკავშირებულ კითხვებზე კი კვალიფიციური პასუხის გაცემა ყოველდღიურ პრაქტიკაში მათთვის პრობლემატურია, ვინაიდან ტუბერკულოზის პრევენციის, დროული გამოვლენის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის თვალსაზრისით მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები არასაკმარისია.³ ამ ხარვეზის შესავსებად TPP-იმ მოამზადა სასწავლო პროგრამა, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფს ქსელის თანამშრომლების ტრენინგებს და ამ გზით მათი TB კონსულტირების ჩვევების გაძლიერებას. შემდგომში ტუბერკულოზის მოდული ჩაერთვება ქსელის უკვე მოქმედ თანასწორ განმანათლებელთა სასწავლო პროგრამაში, რომელიც ამ ეტაპზე 8 მოდულს მოიცავს და ქსელის თანამშრომლების მიერ უშუალოდ ბენეფიციარებში ვრცელდება.

მიზანი:

სასწავლო პროგრამის მიზანია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტის „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსის პრევენციის მიზნით“ თანამშრომლების თეორიული ცოდნის ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ტუბერკულოზის პრევენციის, დროული გამოვლენის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის საკითხებში.

სამიზნე ჯგუფი:

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტის „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების მოცვის გაფართოება აივ/შიდსის პრევენციის მიზნით“ თანამშრომლებისათვის, კერძოდ რეგიონალური კოორდინატორების, VCT კონსულტანტების, სოციალური მუშაკების და ლაბორანტებისათვის, რომლებსაც უშუალო, რუტინული კონტაქტი აქვთ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებთან.

ამოცანები:

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი გაიღრმავებს ცოდნას შემდეგ საკითხებში:^{4:5:6:7}

1. როგორია ტუბერკულოზის გავრცელების და ტრანსმისიის ძირითადი გზები;
2. ვინ არის ტუბერკულოზით დაინფიცირების და დაავადების მაღალი რისკის ქვეშ;
3. რა სიმპტომები აქვს ტუბერკულოზს;
4. როგორ უნდა დაიცვა საკუთარი თავი და გარშემომყოფები ტუბერკულოზისაგან;
5. როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ჩვენს გარშემო ვინმეს აქვს ტუბერკულოზის სიმპტომები;
6. ტუბერკულოზის რომელი სერვისები არსებობს ადგილობრივად და როგორ უნდა მოხდეს რეფერალი;
7. როგორ მკურნალობენ ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს;
8. რატომ არის მნიშვნელოვანი ტუბერკულოზის მკურნალობაზე დამყოლობა;
9. როგორ უნდა დავეხმაროთ ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს, რომ მან წარმატებით დაასრულოს მკურნალობა;
10. რატომ ცდილობენ ტუბერკულოზით დაავადებულები არ გაამხილონ თავიანთი ავადობა და როგორ შეიძლება ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმის შემცირება;

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი განივითარებს ტუბერკულოზთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და შეძლებს:

1. გაზარდოს ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების ცოდნა მოწყვლად ჯგუფში ტუბერკულოზის პრევენციის მნიშვნელობის შესახებ;
2. ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ტუბერკულოზის სიმპტომების და რისკ-ჯგუფების შესახებ;

3. უზრუნველყოს ტუბერკულოზის სიმპტომების მქონე ნიმ-ების დროული რეფერალი ადგილობრივ ტუბკაბინეტში;
4. ინდივიდუალური პრობლემების გათვალისწინებით უზრუნველყოს აქტიური ტუბერკულოზით დაავადებული ნიმ-ების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა;

განსახილველი თემები:

1. ძირითადი ინფორმაცია ტუბერკულოზის და მისი პრევენციის შესახებ - რატომ არის ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი ტუბერკულოზით დაავადების მაღალი რისკის ქვეშ;
2. ტუბერკულოზზე საექვო პირების გამოვლენა სიმპტომების მიხედვით;
3. TB სიმპტომების მქონე ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების ტუბდაწესებულებაში დროული მიმართვით მიღებული სარგებელი - რატომ არის მნიშვნელოვანი პაციენტისთვის და მასთან კონტაქტში მყოფი პირებისათვის ტუბერკულოზის ადრეულ სტადიაზე გამოვლენა;
4. სამი პრობლემა ერთდროულად - როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ერთდროულად აივ ინფიცირებული და ტუბერკულოზით დაავადებულია;
5. ტუბერკულოზით დაავადებული ნარკოტიკების მომხმარებლების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში - როგორ დავეხმაროთ ნარკოტიკების მომხმარებლებს, რომ მათ არ შეწყვიტონ ტუბსაწინაარმდეგო მკურნალობა;
6. ტუბერკულოზით დაავადებული ნარკოტიკების მომხმარებლების ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ინფორმირება და დაცვა;
7. ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმა - კონკრეტული თემის და ჯგუფის თავისებურებები.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა:

სასწავლო კურსი მოიცავს 8 აკადემიურ საათს და განკუთვნილია 10 – 12 მსმენელით დაკომპლექტებული ჯგუფებისათვის. სასწავლო კურსის განრიგი იხილეთ ცხრილში N1.

ცხრილი N1



ტუბერკულოზის პრევენცია მაღალი რისკის ჯგუფებში და პაციენტის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა

სასწავლო კურსის განრიგი

დრო	თემის დასახელება	ტრენერი
10:00 – 10:45	ძირითადი ინფორმაცია ტუბერკულოზის და მისი პრევენციის შესახებ - რატომ არის ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი ტუბერკულოზით დაავადების მაღალი რისკის ქვეშ;	ლ. კუპრეიშვილი თ. ჯანელიძე
10:45 – 11:30	ტუბერკულოზზე საექვო პირების გამოვლენა სიმპტომების მიხედვით;	ლ. კუპრეიშვილი თ. ჯანელიძე
11:30 – 12:15	TB სიმპტომების მქონე ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების ტუბდაწესებულებაში დროული მიმართვით მიღებული სარგებელი - რატომ არის მნიშვნელოვანი პაციენტისთვის და მასთან კონტაქტში მყოფი პირებისათვის ტუბერკულოზის ადრეულ სტადიაზე გამოვლენა;	ლ. კუპრეიშვილი თ. ჯანელიძე
12:15 -13:00	ლანჩი	
13:00 – 14:30	სამი პრობლემა ერთდროულად - როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ერთდროულად აივ ინფიცირებული და ტუბერკულოზით დაავადებულია;	ლ. კუპრეიშვილი თ. ჯანელიძე
14:30 – 15:15	ტუბერკულოზით დაავადებული ნარკოტიკების მომხმარებლების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში - როგორ დავეხმაროთ ნარკომანებს, რომ მათ არ შეწყვიტონ ტუბსაწინაარმდეგო მკურნალობა;	მ. ალავიძე ზ. ჯიქია
15:15 – 16:00	ტუბერკულოზით დაავადებული ნარკოტიკების მომხმარებლების ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ინფორმირება და დაცვა;	მ. ალავიძე ზ. ჯიქია
16:00 – 16:45	ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმა - კონკრეტული თემის და ჯგუფის თავისებურებები.	მ. ალავიძე ზ. ჯიქია
16:45 – 17:30	შემთხვევების განხილვა და დისკუსია	

წყარო დოკუმენტები:

1. Policy guidelines for collaborative TB and HIV services for injecting and other drug users (http://whqlibdoc.who.int/publications/2008/9789241596947_eng.pdf).
2. <http://www.who.int/hiv/topics/psychosocial/support/en/>
3. Competencies and Job Description of GHRN's VCT consultants;
4. "Get the Facts about TB Disease", Centers for Diseases Control and Prevention, National Center for HIV/AIDS, Viral Hepatitis, STD and TB prevention, CDC, USA,
http://www.cdc.gov/tb/publications/pamphlets/TB_disease_EN_rev.pdf
5. "Protect your family and friends from TB: The TB contact investigation", Centers for Diseases Control and Prevention, National Center for HIV/AIDS, Viral Hepatitis, STD and TB prevention, CDC, USA,
http://www.cdc.gov/tb/publications/pamphlets/TB_contact_investigation.pdf
6. "What you need to know about TB infection", Centers for Diseases Control and Prevention, National Center for HIV/AIDS, Viral Hepatitis, STD and TB prevention, CDC, USA,
http://www.cdc.gov/tb/publications/pamphlets/TB_infection.pdf
7. "Take steps to control TB when you have HIV", Centers for Diseases Control and Prevention, National Center for HIV/AIDS, Viral Hepatitis, STD and TB prevention, CDC, USA,
http://www.cdc.gov/tb/publications/pamphlets/TB&HIV_EN.pdf